კვლევის მეთოდოლოგია

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უცხოელ ვიზიტორთა ბაზრის კვლევა ჩატარდა საბაჟო გამშვებ პუნქტებზე, ვიზიტორების ქვეყნიდან გასვლის მომენტში. ინფორმაციის წყაროს ქვეყნიდან გასული ვიზიტორების რაოდენობისა და მათი მოქალაქეობის შესახებ საბაჟო პუნქტების მიხედვით, წარმოადგენს საბაჟო დეპარტამენტის მონაცემები. მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე და სხვა მაჩვენებლების გათვალისწინებით, განისაზღვრა შერჩევის ზომა, რაც მოცემული სტატისტიკური დაშვებების გათვალისწინებით (95%-იანი სანდოობის დონე, მაქსიმალური ფარდობითი ცდომილება 3-5%) სრულად უზრუნველყოფს აჭარის ა.რ-ში უცხოელ ვიზიტორთა საკმარის რაოდენობას ანალიზისათვის. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მოცემული კვლევის ფარგლებში გამოსაკითხი რესპოდენტების რაოდენობამ შეადგინა 1002 ვიზიტორი.

1002 ანკეტა განაწილდა საზღვრის გადამკვეთი პირების მოქალაქეობის მიხედვით ნეიმანის განაწილების პრინციპით, რაც გულისხმობს, რომ ინტერვიუების რაოდენობა ნაწილდება მოქალაქეობის მოცულობის და საშუალოდ დახარჯული თანხის ნამრავლის პროპორციულად. საბოლოო შედეგი ასახულია ცხრილ 1-ში. უცხოელ რესპოდენტთა უმეტესობა წარმოდგენილია თურქეთის (28.50%), რუსეთის (16.80%), აზერბაიჯანის (14.10%) და სომხეთის (12.40%) ფედერაციის მოქალაქეების სახით.

ცხრილი 1. ანკეტების განაწილება გამშვები პუნქტების მიხედვით

გამშვები პუნქტები	
ბათუმის აეროპორტი - საჰაერო	35
კარწახი - სახმელეთო	35
ვალე - სახმელეთო	35
ვახტანგისი - სახმელეთო	35
თბილისის აეროპორტი - საჰაერო	141
ნინოწმინდა - სახმელეთო	35
სადახლო - სახმელეთო	140
სარფი - სახმელეთო	154
ქუთაისის აეროპორტი - საჰაერო	35
ყაზბეგი - სახმელეთო	126
ცოდნა - სახმელეთო	35
წითელი ხიდი - სახმელეთო	196
სულ	**1002**

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა (პირისპირ ინტერვიუს მეთოდით) 15 წლის და უფროსი ასაკის უცხოეთის მოქალაქეები, რომლებმაც განახორციელეს თავიანთი ვიზიტი აჭარაში.

ძირითადი საკვლევი ინდიკატორები:

1. ტურისტების სოციო - დემოგრაფიული პროფილი
2. აჭარაში მოგზაურობის / დასვენების ძირითადი მიზანი
3. აჭარაში ვიზიტის ხანგრძლივობა
4. აჭარაში გამოყენებული საცხოვრებლის ტიპი
5. საქართველოში / აჭარაში ჩამოსასვლელად გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებები
6. ვიზიტის განმავლობაში გაწეული დანახარჯი (დანახარჯების კატეგორიების მიხედვით)
7. ინფორმაციის წყაროები აჭარის / აჭარის ტურისტული ადგილების შესახებ
8. საინფორმაციო წყაროების სანდოობა
9. ტურისტთა კმაყოფილება აჭარაში ვიზიტით
10. აჭარაში განმეორებითი ვიზიტის და რეკომენდაციის გაწევის სურვილი
11. ფასისა და ხარისხის შესაბამისობა სტუმრის აღქმაში და დამატებითი, სტუმრისთვის სასურველი სერვისების იდენტიფიკაცია
12. მოგზაურობის/დასვენების ორგანიზებულობა (საცხოვრებლის წინასწარ დაჯავშნა, ტურ-ოპერატორი, სპონტანური და ა.შ.) და ტიპი (ჯგუფური, ინდივიდუალური, ოჯახური და ა.შ.)

კვლევის საშუალო შედეგები

რესპოდენტების სოციო - დემოგრაფიული პროფილი

რესპოდენტის სქესი - გამოკითხულთა უმეტესობა კაცია (74.4%)





საშუალო შედეგები

კვლევის მსვლელობისას გამოკითხულ რესპოდენტთა უმრავლესობა განმეორებით სტუმრობდა აჭარას (52.2%).

როგორც კვლევამ გვიჩვენა უცხო ქვეყნის მოქალაქეები ძირითადად ინდივიდუალურად (53.8%) ან მეგობრებთან ერთად (23.1%) მოგზაურობდნენ. აჭარას ოჯახთან ერთად გამოკითხულთა 21.8% სტუმრობდა, ხოლო დანარჩენი თანამშრომლებთან / კოლეგებთან (1.3%) ერთად.

ვიზიტის ხანგრძლივობა საშუალოდ 3 *ღამეს* შეადგენდა, ხოლო გატარებული ღამეების რაოდენობა თითოეული მონახულებული ადგილისათვის იხილეთ ქვემოთ მოყვანილ ცხრილში.

გატარებული ღამეების საშუალო რაოდენობა თითოეული მონახულებული ადგილისათვის

	სასტუმრო	სოფლური ტიპის სასტუმრო „ვესტჰაუსი“, ახალგაზრდული ჰოსტელი	ნაქირავები ოთახი კერძო სახლში, ნაქირავები სახლი/ბინა	საკუთარი სახლი/ბინა	ნათესავის/მეგობრის ბინა	სამეგობრო და დასასვენებელი ბანაკი, კარავი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი	სხვა საცხოვრებლის ტიპი	გატარებული ღამეების ჯამური რაოდენობა
ბათუმი	**2,84**	**5,62**	**5,02**	**3,66**	**2,65**	**1,00**	**5,00**	**3,60**
ქობულეთი	**2,96**	**3,77**	**4,75**	**2,35**	**4,01**	**1,00**		**3,44**
ზღვისპირა კურორტები (მწვანე კონცხი, ციხისძირი, სარფი, ბუკნარი, ჩაქვი, მახინჯაური, გონიო, კვარიათი)	**2,11**	**4,12**	**4,85**	**4,70**	**2,20**	**1,60**	**1,00**	**2,81**
სხვა ბარის სოფლები (დაბა ხელვაჩაური, ხელვაჩაურის და ქობულეთის ბარის სოფლები)			**2,22**		**1,00**	**2,00**		**1,86**
მთის დასახლებული პუნქტები - ქედა, შუახევი და ხულო, ხელვაჩაურის და ქობულეთის მთის სოფლები.				**5,00**	**2,00**	**2,00**	**4,62**	**3,89**

აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხული ტურისტების 23.9 % -მა დაჯავშნა საცხოვრებელი ადგილი წინასწარ, ხოლო დანარჩენმა (76.1%) აჭარაში ჩამოსვლის შემდგომ მოახდინა ბინის შერჩევა.

მიმდინარე კვლევის პერიოდში აჭარაში ვიზიტის ძირითადი მიზანი იყო ღირსშესანიშნაობების, ბუნების, ლანდშაფტის მონახულება (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1.



როგორც ჩანს, აღნიშნულ პერიოდში ვიზიტორთა უმრავლესობა - 94%, დაინტერესებულია ეკო ტურიზმით (ბუნების დათვალიერება, ნაკრძალებისა და დაცული ტერიტორიების მონახულება, ლაშქრობა, ფრინველებზე დაკვირვება და ფესტივალში მონაწილეობის მიღება) (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2.



ინფორმაციის წყაროს აჭარაში ვიზიტის დროს მონახულებული ადგილების შესახებ ძირითადად წარმოადგენენ მეგობრები და ნათესავები ან რესპოდენტები ეყრდნობიან თავიანთ გამოცდილებას წინა ვიზიტიდან.

დიაგრამა 3.



აგრეთვე ყველაზე სანდო საინფორმაციო წყაროდ რესპოდენტებს მიაჩნიათ თავიანთი გამოცდილება წინა ვიზიტიდან.

დიაგრამა 3.1



რესპოდენტთა 2.9% - მა დაგეგმა მოგზაურობა ტურისტული სააგენტოს დახმარებით. მხოლოდ 0.5%-მა ისარგებლა ქართული ტურისტული სააგენტოს / ტურ-ოპერატორის სერვისით.

ტურისტული პაკეტის საშუალო ღირებულება შეადგენდა 1669 ლარს (საშუალოდ 1-2 ადამიანზე, ფარავდა 4 ღამის ხარჯს).

გარდა ამისა, შეძენილი ტურისტული პაკეტები არ მოიცავდა სხვა ქვეყანაში ვიზიტს. ხოლო, თუ რას მოიცავდა შეძენილი ტურისტული პაკეტი, იხილეთ ქვემოთ მოყვანილ დიაგრამაში.

დიაგრამა 4.



როგორც კვლევა გვიჩვენებს, აჭარაში ჩამოსასვლელად ვიზიტორები ძირითადად სახმელეთო ტრანსპორტით სარგებლობენ.

დიაგრამა 5.



რესპოდენტთა უმეტესობამ (96%-ზე მეტი) გამოთქვა სურვილი კიდევ ერთხელ ეწვიოს რეგიონს და აგრეთვე გაუწიოს რეკომენდაცია თავიანთ ნაცნობებს მოინახულონ აჭარა. თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვისაც განმეორებითი ვიზიტის არანაირი სურვილი არ გააჩნდა.

დიაგრამა 7.



დიაგრამა 8.



დიაგრამა 9.



კითხვაზე, თუ რა პრობლემები შეექმნათ აჭარაში ვიზიტისას, რესპოდენტთა უმრავლესობამ (98.6%) უპასუხა უარყოფითად. დანარჩენმა ვიზიტორმა ძირითადად გამოყო ინფრასტრუქტურული პრობლემები და კვებისა და მომსახურების სიძვირე.

უცხოელ ვიზიტორთა უმრავლესობა, მიუხედავად ყველაფრისა, საერთო ჯამში კმაყოფილი დარჩა რეგიონში ვიზიტით (ზოგადად ძალიან კამყოფილია 57% (იხ. ცხრილი2).

ცხრილი 2.

	ძალიან უკმაყოფილო	უკმაყოფილო	არც კმაყოფილი, არც უკმაყოფილო	კმაყოფილი	ძალიან კმაყოფილი	არ მისარგებლია	არ ვიცი/მიჭირს პასუხის გაცემა
სასტუმროს პირობები და მომსახურება	0,1%	-	1,6%	7%	18,8%	71,5%	1%
გესტჰაუსის პირობები და მომსახურება	-	0,2%	0,9%	5,7%	10,5%	80,5%	2,2%
ტრანსპორტი/ინფრასტრუქტურა	0,10%	1,2%	5,6%	14,2%	26%	51,8%	1,1%
რესტორნის პირობები და მომსახურება	-	-	2,1%	12,7%	47,7%	37,3%	0,2%
ტურისტული სააგენტოს/ტურ-ოპერატორის მომსახურება	-	-	0,3%	0,3%	7,4%	90,5%	1,5%
ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მომსახურება	-	-	0,3%	0,9%	9,7%	87,6%	1,5%
ქართული სტუმართმოყვარეობა	0,1%	-	0,40%	7%	55,4%	35,9%	1,2%
ქართული სუფრა/სამზარეულო	0,1%	-	0,3%	8,8%	74,8%	16%	-
ქართული ღვინო	0,1%	-	0,3%	5,3%	60,5%	32,4%	1,4%
აჭარის ბუნება	0,1%	-	0,1%	5,7%	69%	25.1%	-
ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობა	0,2%	-	2.1%	8,3%	33,1%	53,7%	2,6%
ფულის ღირებულება (ფასისა და ხარისხის შესაბამისობა)	0,80%	5,3%	17%	18%	23%	32.1%	3,8%
უსაფრთხოების პირობები აჭარაში	0,5%	0,4%	3,1%	14,4%	47,9%	31,5%	2,2%
ზოგადი კმაყოფილება	0,10%	-	1,9%	20,6%	56,7%	20,5%	0,2%